მშრომელთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეზობლთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

სამშაბათი, 15 მარტი, 1949 წ. № 51 (8354). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ბრძოლა საუკეთესო ხარისხის პროდუქციისთვის—მოწინავე (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში (მე-2 გვერდი).
საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის მძლავრი ძალა—„პრავდის“ 13/III მოწინავე. (მე-2 გვერდი).
საქართველოს სსრ სკოლების მასწავლებლებისა და მეცნიერების ... (მე-2 გვერდი).
კოლიტსკოლების ხელმძღვანელთა დასახმარებლად—როგორ მოვაწყოთ მეცადინეობა თემაზე „როგორ არის აგებული საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების)“ (მე-3 გვერდი).
გზრელ მეხილეთა მიმართვის პასუხად (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

ბრძოლა საუკეთესო ხარისხის ღირსებისათვის

საბჭოთა წყობილება, მეურნეობის სოციალისტური სისტემა, პირველხარისხოვანი ტექნიკით აღჭურვილი ფაბრიკა-ქარხნები, მაღალხარისხოვანი ნედლეული, როგორიცაა ჩვენი საწარმოები მარაგდებიან, ყველა პირობის ქმნიან როგორც მძიმე ინდუსტრიის, ისე მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის ხარისხის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ამოცანა ყოველთვის იდგა მრეწველობის მუშაკთა წინაშე. მაგრამ მას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიეცა ფულის რეფორმის განხორციელების, სამრეწველო სისტემის გაუქმებისა და ფართოდ გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლის შემდეგ.

თავის მოხსენებებში საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე და თბილისის XIX პარტიულ კონფერენციაზე ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა მრეწველობის მუშაკებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება ერთ-ერთ მთავარ საბრძოლო ამოცანად დაუსახა. პარტიის ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს ავალებს საწარმოო გეგმების რაოდენობრივ შესრულებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობის პირობებში, როდესაც ერთიორად და კიდევ უფრო მეტად ამაღლდა საბჭოთა მანეთის მყიდველობითი უნარი, როდესაც მომხმარებელს ამ სრულფასოვანი მანეთით სურს შეიძინოს მაღალხარისხოვანი საქონელი, მრეწველობის მუშაკთა მოვალეობაა იმგვარად გარდაქმნან მუშაობა, რომ უბრუნველყოფ მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება, მომხმარებლის ამ კანონიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

კრასნოხოლმელი ფეიქრის ა. ჩუტკინის პატრიოტულმა თაოსნობამ პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში ფართო გამოხმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა. ახლა საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში ასობით ბრიგადა და ათასობით სტახანოველი ეჯიბრება ერთმანეთს პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოსაშვებად, „საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადების“ სპეციალური წოდების მოსაპოვებლად. მარტო თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკაში 78 ასეთი ბრიგადაა ჩამოყალიბებული.

ხარისხისათვის მებრძოლმა ბრიგადებმა უკვე შეაჯამეს თავიანთი მუშაობის პირველი შედეგები. ამ ბრიგადების ნაყოფიერი მუშაობის შედეგად მაუდ-კამოლის ფაბრიკამ თებერვალში გეგმით ვალდებულებული 75,9 პროცენტის ნაცვლად 82,1 პროცენტი პირველხარისხოვანი პროდუქცია გამოუშვა. თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში მქსოველთა იმ ბრიგადებმა, რომლებიც მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის იბრძვიან. იანვართან შედარებით ქვეოსტატ მ. დრიაზოვის, ა. ხაჩატუროვის, კ. მიქაბერიძისა და ვლ. ოსიპოვის ბრიგადებმა ერთიორად და უფრო მეტად გააღიდეს პირველხარისხოვანი ქსოვილის გამოშვება და საწარმოო გეგმებიც საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს. ამავე ფაბრიკის წარჩინებულ ბრიგადაგზავნან ესტახანოველებს ე. მეხრაძეს, თ. კოპალეიშვილს, ე. ურთაშვილს და სხვებს მთელი თვის განმავლობაში არც ერთი მეტრი წუნდებული ქსოვილი არ გამოუშვიათ.

მაგრამ ყველა საწარმოში ასეთი მდგომარეობა როდია. თბილისის ფეხსაცმლის პირველმა ფაბრიკამ, მთელი რიგი ბრიგადებისა და სტახანოველების მაღალხარისხოვანი მუშაობის მიუხედავად, წინა თვესთან შედარებით თებერვალში ერთხელვარი პროცენტით შეამცირა პირველი ხარისხის ფეხსაცმლის გამოშვება და ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 79,7 პროცენტისა, მხოლოდ 55,7 პროცენტი პირველხარისხოვანი ფეხსაცმელი გამოუშვა. მსგავს მოვლენას ზოგიერთ სხვა საწარმოშიც აქვს ადგილი.

ეს ფაქტი მოწმობს, რომ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის დაცვისათვის ბრძოლას ჯერ კიდევ არ ეთმობა საკმაო ყურადღება. ხარისხისათვის ბრძოლა კამპანიურობა როდია. იგი სამეურნეო ხელმძღვანელის, პარტიული და პროფსაფლო ორგანიზაციების ყოველდღიურ, სისტემატურ მუშაობას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მითითება—„საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადების“ წოდების მისაღებად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ ყველა საწარმოში გულდასმით რიდი განიხილეს. მრავალ საწარმოში ჯერ კიდევ ყველა ბრიგადა და სტახანოველი როდი მონაწილეობს ამ შეჯიბრებაში. ზოგან შეჯიბრებაში ჩაბმული არიან მხოლოდ ერთი და იმავე პროფესიის ბრიგადები. ასეა, მაგალითად, აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში, სადაც ერთძალად ეჯიბრებიან მხოლოდ მქსოველები, ხოლო დანარჩენი პროფესიების მუშები ჯერჯერობით ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას არ იღებენ. მრავალ საწარმოში და განსაკუთრებით ლითონდამამუშავებელ ქარხნებში პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად არაკეთილი კონკურენცია ვალდებულება არა აქვთ ჩამოყალიბებული.

საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის კრასნოხოლმის კამკოლურ კომბინატში დაწყებული პატრიოტული მოძრაობა ეხება არა მარტო მსუბუქ მრეწველობას, არამედ ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ყველა დარგს. პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის შეჯიბრება უნდა გაეაჩაღოთ არა მარტო ფართო მოხმარების საქონლის დამამზადებელ საწარმოებში, არამედ მძიმე მრეწველობაშიც, მრეწველობის ყველა დარგში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესია იხილავს სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს. მთავრობის მიერ სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი ბიუჯეტი მკაფიოდ ასახავს სოციალიზმის ქვეყნის მიერ ომისშემდგომ წლებში მოპოვებულ უდიდეს გამარჯვებებს და იმ ბრანდიოზულ ამოცანებს, რომლებიც ჩვენი საშობლოს წინაშე მიმდინარე წელს არის დასახული. ამ ბიუჯეტის ერთ-ერთი თავისებურება კიდევ ის არის, რომ მიმდინარე წლიდან ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პირადად დიდი სტალინის მითითებით ხორციელდება უდიდესი სახალხო-სამეურნეო ღონისძიება — ძირითადად 1949 წელს და მთლიანად 1950 წელს გაუქმდება მრეწველობისა და ტრანსპორტისათვის სახელმწიფო დოტაციის მიცემა. ეს ღონისძიება კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს მრეწველობის მუშაკებს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების ყოველმხრივ გადიდებისათვის.

„ყოველივე ის, რასაც საბჭოთა ქვეყნის ბეჭედი აზის, ყოველივე ის, რაც სოციალისტურ ქარხნებშია გაკეთებული, ყოველივე ის, რაც საბჭოთა ადამიანების მიერ არის დამზადებული, უნდა იყოს სანიმუშო, ყველაზე უკეთესი მსოფლიოშიო!“.

ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოს — გაზეთ „პრავდის“ ეს მითითება მრეწველობის თვითეული მუშაკის სამოქმედო პროგრამა უნდა გახდეს.

ი. ბ. სტალინის ბიოგრაფია ხაკასურ ენაზე

აბაკანი, (საკუთარი). ხაკასეთის საოლქო გამომცემლობამ ხაკასურ ენაზე გამოსცა ი. ბ. სტალინის მოკლე ბიოგრაფია.

ი. მ. სვერდლოვის სახლ-მუზეუმში

სვერდლოვსკი, 12 მარტი. (საკუთარი). 16 მარტს 30 წელი სრულდება საბჭოთა კავშირის სახელმწიფოს ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწის, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი თავმჯდომარის იაკობ მიხეილის-ძე სვერდლოვის გარდაცვალებიდან.

საწარმო-დაწესებულებებსა და სასწავლებლებში იმართება საუბრები, ლექციები, მოხსენებანი ი. მ. სვერდლოვის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. ბიბლიოთეკებსა და პარტიულ კაბინეტებში ეწყობა გამოფენები და ფოტომონტაჟები.

ამ დღეებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა სახლ-მუზეუმში მნახველთა მოსვლა. იაკობ მიხეილის-ძის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი მრავალი დოკუმენტისა და მასალის გასაცნობად მიდიან მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები, სტუდენტები, მოსწავლეები, დიასახლისები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

ეროვნებათა საბჭოში

14 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მუშაობას განაგრძობდა.

დილის 11 საათზე კრემლის სასახლის დიდ დარბაზში დაიწყო ეროვნებათა საბჭოს სხდომა. თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ვ. კუზნეცოვი.**

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები **ა. ი. მიკოიანი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ნ. კოსიგინი, მ. თ. შკარიატოვი,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები.

დეპუტატები და სტუმრები მათ ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი მოხსენების გამო სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარე დეპუტატი ვ. ვ. კუზნეცოვი სიტყვას აძლევს დეპუტატს **ზ. ნ. კეცხოველს** (საქართველოს სსრ).

აღნიშნავს რა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც წარმოდგენილია უმაღლესი საბჭოს განსახილველად, უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის წინაშე 1949 წელს მდგომი ამოცანების გადაჭრას, დეპუტატი კეცხოველი ლაპარაკობს საქართველოს მნიშვნელოვან წარმატებებზე მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში.

დეპუტატი კეცხოველი სთხოვს სეესაას გაითვალისწინოს ბიუჯეტში დამატებითი ასიგნებანი საქართველოს ეკონომიკის საჭიროებისათვის. იგი თვლ რიგ პრეტენზიებს უყენებს მსუბუქი მრეწველობის, ელექტროსადგურთა, სოფლის მეურნეობისა და გზათა სამინისტროებს.

სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის მინისტრი **ა. ი. ბოგინი** თავის გამოსვლაში ეხება ჩვენი ქვეყნის სატყეო მეურნეობის განვითარების საკითხებს.

დეპუტატ **გ. ვ. ნიგმატჯანოვის** (ბაშკირეთის ასსრ) გამოსვლის შემდეგ კამათი სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გამო წყდება.

საბოლოო სიტყვით გამოდის სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი დეპუტატი **ა. გ. ზვერევი.**

სხდომის თავმჯდომარე დეპუტატი ვ. ვ. კუზნეცოვი აცხადებს, რომ ეროვნებათა საბჭოს 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის, ხოლო შემდეგ ერთხმად იღებს „კანონს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

ეროვნებათა საბჭო გადადის სესიის დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვაზე—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებაზე.

ამ საკითხზე მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს დეპუტატ **ა. თ. ბორკინს.**

დეპუტატ ბორკინს ეროვნებათა საბჭოს დასამტკიცებლად შეაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე და მეხუთე სესიებს შორის განვლილ პერიოდში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გამოცემული ბრძანებულებანი.

ეროვნებათა საბჭო ერთხმად ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს.

შემდეგ ეროვნებათა საბჭო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებად ირჩევს **ვ. ი. კოზლოვსა** და **ვ. ბ. გოგუას** და იღებს გადაწყვეტილებას ნ. ი. ნატალევიჩისა და გ. თ. სტურუას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეთა მოვალეობისგან განთავისუფლების შესახებ.

ეროვნებათა საბჭო ერთხმად ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად **ვ. მ. ანდრიანოვს** და იღებს გადაწყვეტილებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან ბ. ს. პოპკოვის განთავისუფლების შესახებ.

ეროვნებათა საბჭოს მეხუთე სესიის დღის წესრიგი ამოწურულია. ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ვ. ვ. კუზნეცოვი სესიას დახურულად აცხადებს. (საკუთარი).

კავშირის საბჭოში

14 მარტს საღამოს 6 საათზე კრემლის სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნა კავშირის საბჭოს მორიგი სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ი. ა. პარფენოვი.**

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. მ. შვერნიკი, მ. ა. სუსლოვი, პ. კ. პონომარენკო, გ. მ. პოპოვი,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები.

დეპუტატები მათ ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

გრძელდება კამათი მოხსენების გამო სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარე — კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ი. ა. პარფენოვი სიტყვას აძლევს დეპუტატ **მ. ზ. ბაბაევს** (აზერბაიჯანის სსრ).

დეპუტატ ბაბაევის გამოსვლის შემდეგ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გამო კამათი წყდება.

საბოლოო სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრს დეპუტატ **ა. გ. ზვერევს.**

კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. ა. პარფენოვი აცხადებს, რომ კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ლ. რ. კორნეიცი საბოლოო სიტყვაზე უარს ამბობს.

შემდეგ კავშირის საბჭო ერთხმად ამტკიცებს 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს და ერთხმად იღებს „კანონს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

კავშირის საბჭო გადადის დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვაზე—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებაზე.

ამ საკითხზე მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს დეპუტატ **ა. თ. ბორკინს.**

დეპუტატ ბორკინს კავშირის საბჭოს დასამტკიცებლად შეაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე და მეხუთე სესიებს შორის განვლილ პერიოდში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გამოცემული ბრძანებულებანი.

კავშირის საბჭო ერთხმად ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს.

შემდეგ კავშირის საბჭო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ ირჩევს **ვ. ი. კოზლოვსა** და **ვ. ბ. გოგუას** და იღებს გადაწყვეტილებას ნ. ი. ნატალევიჩისა და გ. თ. სტურუას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეთა მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

ამით კავშირის საბჭოს მეხუთე სესიის დღის წესრიგი ამოწურულია. კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. ა. პარფენოვი სესიას დახურულად აცხადებს. (საკუთარი).

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★

სერგო ორჯონიკიძის მონუმენტი

გურჯაანი. (საკ. კორ.). სოფელ შრომის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ, სოფლის ცენტრში არსებულ სკვერში დადგა სერგო ორჯონიკიძის მონუმენტი. მონუმენტი 4,5 მეტრის სიმაღლისაა.

163.768 ძირი ეკალიპტი

მახარაძე. (საკ. კორ.). ლაითურის კოლეგიის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში დიდი რაოდენობით აშენებენ ეკალიპტის კულტურას. მეურნეობას ამჟამად 73.768 ძირი ეკალიპტი აქვს.

გარდა ამისა, წელს აქ დარგავენ 30.000 ძირ ეკალიპტს. არსებულ სანერგეებში წელს გამოყვანილი იქნება აგრეთვე 60.000 ძირი სტანდარტული ნერგი, რასაც 1950 წელს დარგავენ.

საავადმყოფოები და სამშობიარო სახლი

სიღნაღი. (საკ. კორ.). სოფლებში ქვემო ბოდბესა და ქვემო მაჩხაანში ახლახან გაიხსნა ათ-ათ საწოლიანი საავადმყოფოები. 10-საწოლიანი სამშობიარო გაიხსნა სოფელ ანაგაში.

საავადმყოფოები და სამშობიარო სახლი დაკომპლექტებულია გამოცდილი ექიმებით.

კეუბის ახალი შენობა

ჭიათურა. (საკ. კორ.). ნიგოზეთის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა ააგეს კლუბის ახალი შენობა. იგი გათვალისწინებულია 200 მაყურებლისათვის.

განზრახულია აგრეთვე საკოლმეურნეო კლუბი ააგონ სოფელ ქვაცხის მშრომელებმა.

სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით

ბრძოლა პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის

მაუდ-კამოლის ფაბრიკაში

წამყვანი პროფესიების მუშებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებისას პროდუქციის გამოშვების რაოდენობრივ მაჩვენებლებთან ერთად მთავარი ყურადღება ექცევა ხარისხის გაუმჯობესებას და თვითღირებულების შემცირებას. დღითიდღე მატულობს იმ მოწინავე მუშების რიცხვი, რომლებიც მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებენ.

საჩეჩ მანქანებზე მომუშაეთა შორის თებერვალში გაიმარჯვეს მჩეჩავებმა ა. ჩერნოვამ და მ. ივანისელმა. პირველმა გეგმა 148,6 პროცენტით შეასრულა, მეორემ — 124,1 პროცენტით.

ნართის დამრთველებს შორის თავი ისახელეს სტახანოველებმა ქ. ტახჩიდიმ (გეგმა 154,5 პროცენტით შეასრულა), ლ. ფედოროვამ (151 პროცენტით), ნ. დამეროვამ (148,2 პროცენტით), ნ. ზარქუამ (140,2 პროცენტით), ვ. თავშავაძემ (139,3 პროცენტით).

სამაუდე ნართის დამრთველმა ლ. კრასნოვამ საწარმოო დავალება 133,4 პროცენტით გაანაღდა და პირველობა მოიპოვა. მას მიყვება ა. ფროლოვა (127,5 პროც.) და ქ. ბარამიძე (117,5 პროც.).

ნართის მგრეხავმა სტახანოველმა ა. ინსუროვამ, რომელიც 50-ის ნაცვლად 60 თითისტარს უწევს მომსახურებას, გეგმას 78,3 პროცენტით გადაჭარბა. ამავე პროფესიის თ. მეტრეველმა საწარმოო დავალება 144,3 პროცენტით გაანაღდა.

მქსოველებს შორის პირველობას ინარჩუნებს ოთხდაზგოსანი ბ. კოკოლაშვილი, რომლის საწარმოო მაჩვენებელი 125,5 პროცენტი. მის ცალ დამზადებული ქსოვილიდან 98,3 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ორდაზგოსანმა ტ. ფომინამ პროდუქციის გამოშვების გეგმა 158,5 პროცენტით შეასრულა და მხოლოდ მხოლოდ საუკეთესო ხარისხის ქსოვილი დაამზადა.

მუშაკებს შორის გამარჯვება მოიპოვა მ. ლაცაბიძემ, რომელმაც გეგმა 130,6 პროცენტით გაანაღდა. მეორე ადგილზე გამოვიდა ს. დუბინსკაია.

მფთილავებს შორის პირველობას ინარჩუნებს თ. მაზმიშვილი, რომელიც ორ საფთილავ დაზგაზე მუშაობს და 60 თითისტარს უწევს მომსახურებას. თებერვალში თ. მაზმიშვილმა მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქცია დამზადა და გეგმა 146,7 პროცენტით შეასრულა. მეორე ადგილზეა ვ. გოგოლაშვილი (146,1 პროცენტი), მესამეზე — ა. ხეჩუაშვილი (130,9 პროც.).

მთელავები გ. ბეგიაშვილი და პ. ბიკდაროვა ოთხ სათელავ დაზგას ემსახურებიან. მათ თებერვალში საწარმოო დავალება 140,9 პროცენტით გაანაღდეს და პირველობა მოიპოვეს.

მრეცხავებს შორის ყველაზე უკეთესი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვა დ. სვანიშვილმა (135 პროც.).

„საუკეთესო ხარისხის ბრიგადის“ სახელწოდების მისაღებად ფაბრიკაში სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია 78 ბრიგადა. მათგან თებერვალში მხოლოდ ერთ-ერთ ხარისხის პროდუქციის დამზადება შეძლო 12 ბრიგადამ. ასეთებია ქვეოსტატ შ. დუმბაძის ბრიგადა, ქვეოსტატ ი. მირონოვის მრეცხავთა, ქვეოსტატ ა. ტრუნოვის მშრომელთა ბრიგადები და სხვ.

ქუთაისის საკვამლიანი ქარხანაში

მაგნიტური ხიდური ამწე

სარემონტო სამომსახურო საამქროში საექსპლოატაციოდ გადაეცა 5 ტონის სიმძლავრის მაგნიტური ხიდური ამწე.

ხიდური ამწე 50 მუშას გაათავისუფლებს და ამავე დროს შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

საამქიო კუნძტი

შეკანაკერ ამწყობ კორპუსში გაიხსნა პირველი დახმარების საექიმო პუნქტი, რომელიც მომსახურებას გაუწევს აქ შემავალი ყველა საამქროს მუშა-მოსამსახურეებს.

პუნქტი უზრუნველყოფილია კვალიფიციური სამედიცინო პერსონალითა და მედიკამენტებით.

სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში

ჩვენი ქვეყნის მრავალ სანატორიუმსა და დასასვენებელ სახლში წელს საავტომობილო ქარხნიდან გაიგზავნება 250 ინჟინერ-ტექნიკოსი და მუშა-მოსამსახურე. გარდა ამისა, პიონერთა ბანაკებში და გამაჯანსაღებელ მოედნებზე დაისვენებს ავტოქარხნელთა 400 ბავშვი. (საკ. კორ.).

დახმარება მრავალშვილიან დედებს

ხულო. (საკ. კორ.). შარშან რაიონის სოფლებში მცხოვრებმა 1.883 მრავალშვილიანმა დედამ ერთდროული დახმარების სახით 1.228 ათასი მანეთი მიიღო.

სოფელ უჩამბის კოლმეურნეობის წევრმა ფ. შავაძემ, რომელმაც 11 შვილი შობა და აღზარდა, 2.500 მანეთი დახმარება მიიღო, წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა, 10 შვილის დედამ მ. დიასამიძემ — 1.800 მანეთი და სხვ.

რაიონში 15 გმირი დედაა. 1.432 მრავალშვილიანი დედა დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში

ამას წინათ, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში შედგა თათბირი საგაზაფხულო თესვის საქმეთა კომიტეტთან დაკავშირებით მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების საკითხებზე. თათბირში მონაწილეობა მიიღეს პარტიის საოლქო კომიტეტების მდივნებმა და სასოფლო რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებმა.

თათბირმა აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის დარგში ახალ წარმატებათა მოპოვების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლა სოფლის მოსახლეობაში. ამასთან დაკავშირებით დასახულ იქნა შემდეგი ღონისძიებანი: 20 მარტამდე ყველა რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა დაამთაროს აგიტატორთა კადრების შერჩევა და განაწილება ბრიგადებისა და რგოლების მიხედვით; 25 მარტამდე უნდა მოეწყოს აგიტატორთა სამდღიანი სემინარები, რომლებზეც შესწავლილ იქნას საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის და სსრ კავშირის უმაღლესი სპჭოს სესიის მასალები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საგაზაფხულო თესვისათვის კოლეტიურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მზადების მიმდინარეობის შესახებ“.

ამასთანავე აგიტატორებს ფართოდ უნდა გაეცნოთ საგაგიტაციო-მასობრივი მუშაობის საბრძოლო ამოცანები თესვის კამპანიაში, 25 მარტამდე ჩატარდეს აგიტატორთა რაიონული და ზონალური თათბირები. აგიტატორთა რაიონულ შეკრებაზე მოხსენებით უნდა გამოვიდნენ რაიკომის პირველი მდივნები.

საგაზაფხულო თესვის დროს მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა გადატანილ უნდა იქნას მინდვრად. აგიტატორი იქ უნდა იყოს, სადაც 1949 წლის უხვი მოსავლის ბედი წყდება.

კოლმეურნეთა მთელი ძალები და სამუშაოებები უნდა მოზმარდეს საგაზაფხულო თესვის ჩატარებას მოკლე ვადებში. აგიტატორის ამოცანაა ფართოდ გაავრცელოს საბჭოთა აირონომიული მეცნიერების დიდი მიღწევები, გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება რგოლებსა და ბრიგადებს შორის.

საგაგიტაციო-მასობრივი მუშაობა უნდა ტარდებოდეს სამეურნეო ამოცანებთან ძალიერად დაკავშირებით. პარტიული ორგანიზაციები ყურადღება გამახვილებულ იქნას მასობრივ-პოლიტკაული მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე.

აგიტატორთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ასამაღლებლად სისტემატურად მოეწყოს ლექციები და მოხსენებები მეცნიერულ-პოპულარულ, პოლიტიკურ და სასოფლო-სამეურნეო თემებზე.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების მუშა-მოსამსახურეებისათვის პარტიისა და მთავრობის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების გაცნობას. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები და რაისაბჭოს აღმასკომების თავმჯდომარეები უფრო ხშირად უნდა გამოდიოდნენ პოლიტიკური მოხსენებებით კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე. გამოყენებულ უნდა იქნას მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა საშუალება: პრესა, რადიო, კინო და სხვ., პრესაში და რადიოს საშუალებით ფართოდ გაშუქდეს აგიტატორების და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანების, სოციალისტური შრომის გმირების გამოცდილება.

პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ თვალსაჩინო აგიტაციის (პლაკატების, ლოზუნგების, დიაგრამების და სხვ.) გამოყენებას. ყველა კოლმეურნეობაში, მტს-ში და საბჭოთა მეურნეობაში მოეწყოს გაზეთის ვიტრინები, სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა წარმატების მაჩვენებელი დაფები, ფოტოგამოფენები. უნდა გაეწიო

პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა დასახმარებლად

როგორ მოვაწყოთ მეცადინეობა თემაზე „როგორ არის აგებული საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების)“

თვით თემის სახელწოდება გვეუბნება, რომ მის შინაარსს წარმოადგენს შინაპარტიული ცხოვრების, პარტიის ორგანიზაციული აგების საკითხები. წინა მეცადინეობებში შედგენად მსმენელებმა უნდა იცოდნენ, რომ პარტია თავის ხელმძღვანელ როლს ასრულებს არა მარტო იმიტომ, რომ იგი შეიარაღებულია საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნით და იცის სათ და როგორ წ�ყველაზე მშრომელები—ლები, არამედ იმიტომაც, რომ იგი ორგანიზებული, შეჭიდროებულია ნების ერთიანობით, მოქმედების ერთიანობით, რაც შეუთავსებელია პარტიული დისციპლინის დარღვევასთან, პარტიის პროგრამისა და წესდებისადმი.

მეცადინეობას თემაზე „როგორ არის აგებული საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)“ მიზნად აქვს განმარტოს, თუ რა დიდი პატივი იყო ლენინ-სტალინის პარტიის წევრი, რა დიდი პასუხისმგებლობა და რაოდენ სერიოზული მოვალეობანი, რაც ბოლშევიკური პარტიის წევრს ეკისრება, ცხადყოს, რომ ლენინ-სტალინური ურყევი ორგანიზაციული პრინციპები განსაზღვრავენ პარტიული ორგანიზაციების მთელ პრაქტიკულ მუშაობას.

I

თემის შესწავლისათვის საჭიროა ორი მეცადინეობა. პირველი მიეძღვნება შემდეგ საკითხებს: რა არის პარტიის პროგრამა და წესდება, ვის შეუძლია იყოს პარტიის წევრი, კომუნისტთა მოვალეობანი, პარტიაში მიღების წესი. თავის საუბარში პროპაგანდისტი ლაპარაკობს მაღალ პატივზე—იყო საკავშირო კ. პ (ბ) რიგებში, კომუნისტის მოვალეობაზე იტყუტრად ბრძოლის პარტიის პროგრამას, პარტიის პოლიტიკის განმარტებებისაკენ.

პარტიის გეზი რომ წარმატებით განვახორციელოთ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა, რომ ჩვენ თვითონ ნათლად გვქონდეს იგი. პროპაგანდისტი განმარტავს, რომ პროგრამა იძლევა კომუნისტური პარტიის უაზოოსი და საბოლოო მიზნების ზუსტ მეცნიერულ ფორმულირებას. პარტიის პროგრამა ჭვნის მიზნებისა და საშუალებების დიდ სიცხადეს, უფრომოსოდაც შეუძლებელი მტკიცე ფუნდაცია

პროპაგანდისტმა მსმენელებს მოაგონებს პარტიის პროგრამას, რომელიც მიღებულ იქნა 1903 წელს პარტიის მეორე ყრილობაზე, პარტიის პროგრამას, რომელიც მიღებულ იქნა 1919 წელს მე-8 ყრილობაზე და მოჰყავს ორიგე პროგრამაც შინაარსის და მათი განხორციელება ყველაზე ძირითადი ცნობები. სარკაკვშირო სოციალისტმის აგება ნაშესაკ ამბის, რომ სოციალიზმის ისაგებად პროგრამაში დასახული ამოცანები პარტიისა და საკმითა სახელმწიფოს მიერ შეურეულებულია. ეს, ამიტომ პარტიას XVIII ყრილობამ მიღო გადაწყვეტილება ახალი პროგრამის შემუშავების შესახებ.

აქ საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ამხანაგ სტალინის გამოსვლა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს, წარმოადგენს პარტიის უმნიშვნელოვანეს საპროგრამო დოკუმენტს, ეინაიდან მასში მოცემულია გენიალური წინასწარდასახულებანი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შესახებ.

შემდეგ პროპაგანდისტი გადადის პარტიის წესდებაზე. იგი განმარტავს, რომ პარტიის წესდება განსაზღვრავს პარტიის პრაქტიკული საქმიანობის ხერხებს, მისი აგების ორგანიზაციულ ფორმებსა, მაი საშინაო ცხოვრების მთავარ სახელმძღვანელო წესებს. პროპაგანდისტი აღნიშნავს წესდებისა და პროგრამის მჭიდრო კავშირს და აბობს, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) წესდება ემყარება პარტიის აგების ლენინურ-სტალინურ პრინციპებზ. ამ პრინციპებს არსი დაწერილებით აქვს გარეკეული წინა მეცადინეობაზე, როცა ლაპარაკი იყო ამის შესახებ, რომ პარტია მუშათა კლასის მოწინავე, ორგანიზებული რაზმია, მისი კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმაა, რომ ეს ერთიანი, შემეიფროებული, დისციპლინებული ორგანიზაციაა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ფართო მასებთან. ახლა უნდა ვუჩვენოთ, თუ როგორ არის გამოხატული ეს პრინციპები წესდებაში, როგორ არის ითანა ასახული პარტიული ორგანიზაციების მთელ ყოველდღიურ საქმიანობაში. ამისათვის პროპაგანდისტს შეეძლია მაგალითების მოყვანა როგორც პარტიის ისტორიიდან, ისე პარტიული მუშაობის პრაქტიკიდან ამჟამად.

ბოლშევიკი პარტია ყოველთვის გამოირჩეოდა განსაკუთრებული მოქნილობით, იმის უნარით, რომ გარდაექმნა თავისი რიგები და ორგანიზაციული მუშაობის მეთოდები მაა წინაშე დასახული ახალი ამოცანების შესაბამისად. შეაქვს რა ცვლილებები წესდებაში ახალი ამოცანების შესაბამისად, პარტია ეცდილია სტოვებს პარტიის აგების ბოლშევიკურ პრინციპებს.

პროპაგანდისტი განმარტავს წესდების დებულებებს იმის შესახებ, თუ ვის შეუძლია იყოს პარტიის წევრი, ლაპარაკობს პარტიის წევრობის მნიშვნელობაზე, იმაზე, რომ პარტიის წევრობის საკითხი პარტიული მნიშვნელობის ქვაკუთხედია. იმაზე, თუ როგორია პარტიის შემადგენლობა, დამოკიდებულია მისი დარაზმულობა, მისი პოლიტიკური გეზი და საბოლოო ანგარიშით თვით პარტიის ბედი. ამიტომ პარტია ყოველთვის ზრუნავდა, რომ მისმა პირადმა შემადგენლობამ ეზრუნველყოს ამ რეგულტადური მიზნებისათვის ბრძოლის წარმოების შეალძლებლობა, რომელსაც პარტია ითაბაა.

უნდა გავარჩევთ მათ პარტიის წევრობის შესახებ წესდების ლენინური პრაგმატიკა, ცხადყოთ მისი უდიდესი მნიშვნელობა მუშათა კლასდან, შრომელთაგან მოწინავე, შეგნებული ადამიანების პარტიაში მიღებისათვის. განსაკუთრებით უნდა შეეჩერდეთ ამ მნიშვნელობაზე, რაც აქვს მოთხოვნას, რომ პარტიის წევრმა აღიაროს პროგრამა, აქტიურად მონაწილეობა ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში, აგრეთვე საწევრო გადასახადის თვის დროზე შეტანის მოთხოვნას.

საუბრის მნიშვნელოვან ნაწილს პროპაგანდისტი მიუძღვნის იმას, თუ რა მოვალეობას აკისრებს საკავშირო კ. პ. (ბ) წევრებსა პარტიის წევრებს. ამასთან დიდი შესაძლებლობაა მოეცეთ საკუთარი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის მაალები, ეუჩვენოთ, თუ როგორ ეზრუნველყოფენ კომუნისტები ავანგარდულ როლს სამეურნეო წარმატებებისათვის ბრძოლაში, როგორ ამყოფებენ თავიანთ პოლიტიკურ დონეს, როგორ იცავენ პარტიულ დისციპლინას, განამტკიცებენ კავშირს მასებთან, ზრდიან მასებს მარქსიზმ-ლენინიზმით იდეურის სულისკვეთებით, განმარტავენ პარტიის პოლიტიკასა და გადაწყვეტილებათა აზრს.

მეორე საუბარი გამსჭვალული უნდა იყოს იდეით კომენისტის მაღალი წოდების შესახებ, დიდი პატივის შესახებ—იყო ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში. პროპაგანდისტს შეუძლია მოიყვანოს ისტორიული მაგალითები. ბოლშევიკთა გმირული საბრძოლო ლიტერატურიდან, რომლებიც ცხადყოფენ, თუ კომუნისტია საქმისათვის რა შესანშნავ მებრძოლებს ზრდის ჩვენი პარტია.

პროპაგანდისტი ლაპარაკობს ლენინისა და სტალინის როლზე პარტიის შექმნაში და აღზრდაში, მათ დაუღალავ ზრუნვაზე პარტიული რიგების ერთიანობის, იდეური და ორგანიზაციული დარაზმულობისათვის, პარტიის მაალი ბრძოლისუნარიანობისათვის.

პარტიის, მეშთა კლასის, მთელი მშრომელი ხალხისადმი თავდადებულ სამსახურს იღებდეს მაგალითს წარმოადგენს ბოლშევიკური პარტიის დიდი ფუძემდებლისა და მზრუნველების ვ. ი. ლენინისა და ი. ვ. ს. სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა. თვითეული კომუნისტის ვალია—დიდმა და მკირეშიც—ყოველთვის მიბაძოს თავის დიდ მასწავლებლებს.

პროპაგანდისტი საუბარს ამთავრებს პარტიაში მიღების იმ წესის განმარტებით, რაც წესდებით არის გათვალისწინებული. ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს პარტიის რიგებში სიწმინდისათვის ბრძოლის მნიშვნელობა. უნდა განვმარტოთ, რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ კომუნისტებს, რომლებიც რეკომენდაციას აძლევენ პარტიაში შემოსვლელთ, რა ყურადღებითა და გულდასმით უნდა გავარჩიოთ პარტიულ კრებებზე განცხადებები მოლების შესახებ.

პროპაგანდისტს საუბარი შეუძლია დაიწყოს იმის გამოკვლევით, თუ როგორ ესმით მსმენელებს პარტიის პროგრამისა და წესდების მნიშვნელობა. ძირითადად ეს საუბარი უნდა მიეძღვნას პარტიის წევრობის საკითხებს და კომუნიკაცია მოვალეობას. უნდა ვთხოვოთ რომელიმე მსმენელს დაწერილებით გვიამბოს წესდების პირველი პარაგრაფის შესახებ, რას ავალებს იგი პარტიის თვითეულ წევრს. შემდეგ ცალკე

უშიშროების საბჭოში

ინდონეზიის საკითხის განხილვა

ნიუ-იორკი, 11 მარტი. (საკადრო). უშიშროების საბჭომ განიხილა ინდონეზიის საკითხის განხილვა.

16 თებერვალს სხდომაზე უშიშროების საბჭომ ინგლისი-ამერიკის ბლოკის ზეგავლენით გაერთიანებული ეროების ორგანიზაციის ინდონეზიის საკითხთა კომისიას 1 მარტამდე გაეგრძელა ჯადა უშიშროების საბჭოს მიერ ინდონეზიის საკითხზე 28 თებერვალს მიღებული რეზოლუციის შესრულების შესახებ მოხსენების წარმოსადგენად. სრ კავშირის დელეგაციამ შაშინ აღნიშნადა, რომ ჯადის განგრძობა ვერ გამოიწვევს ინდონეზიის საკითხის გადაჭრას, რადგანაც ჰოლანდიის მთავრობას არა სურს შეასრულოს ის არასამართლიანი რეზოლუციაც კი, რომელიც საბჭომ მიიღო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჯადის ამ ახალმა განგრძობამ ადგილიდან ვერ დაძრა ინდონეზიის საკითხის გადაჭრა. ბრძოლება ჰოლანდიის ჯარების სამამსუჭეო ოპერაციები ინდონეზიის რესპუბლიკის მოსახლეობის წინააღმდეგ, რესპუბლიკის ოფიციალური პირები კვლავ დაპატიმრებული არიან ბანკის კუნძულზე და არავითარი მოლაპარაკება რესპუბლიკასა და ჰოლანდიის მთავრობას შორის არ წარმოებს.

საბჭოს 10 მარტის სხდომაზე გამოსული ჰოლანდიის წარმომადგენელი ვან როიენი ამტკიცებდა, რომ გაგზავნილია ამბრეტქცილი გუფეშვილი იქნას რესპუბლიკის ოფიციალურ მიღებაზეს მიმოსვლის შეზღუდვანი, გარდა „მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის ერთგვარი შეზღუდვისა, რაც ჯერ კიდევ არსებობს სოსხედრო კონტროლის ქვეშ მყოფ ზოგიერთ რაიონში". მისი სიტყვით, შესრულებულია რეზოლუციის მოთხოვნა რესპუბლიკის ლიდერებისათვის კონსულტაციის თავისუფლების შესახებ და რომ ჰოლანდიის მთავრობა ცდილობდა დაეწყო მოლაპარაკება რესპუბლიკის ცალეე წარმომადგენლებთან, მაგრამ ეს მოლაპარაკება ჩაშალა უშიშროების საბჭოს მიერ 28 იანვრის რეზოლუციის მიღების შედეგად. ამრიგად, ცდილობდა რა დაემტკიცებინა, რომ ჰოლანდიის მთავრობა თითქოს ასრულებს რეზოლუციას, ჰოლანდიის წარმომადგენელი ამავე დროს ეაიენებთან ალიმჩრდა რესპუბლიკის ლიდერებს წინააღმდეგ.

ვან როიენმა ჩამოაყალიბა „მრგვალი მაგიდის კონფერენციის" მოწვევის ჰოლანდიური გეგმა და უშიშროების საბჭოს მოეწოდა ფაქთანმოდ ამ გეგმას და დაეინებინთ ნუ მოითხოვს ინდონეზიის რესპუბლიკის აღდგენას.

ინდონეზიის რესპუბლიკის წარმომადგენელმა ჰალარმა მოიგვანა ფაქტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჰოლანდიის სამხედრო ხელისუფალნი განგრძობენ „სადამსჯელო ოპერაციებს" ინდონეზიის მოსახლეობის წინააღმდეგ. ისინი მხეცურად აწამებენ ტყვე პარტიზანებს, სისტემატიურად ხოცავენ წარა-კოთხეს მკვიდრ მოსახლეობას ჰოლანდიის ჯარების მიერ ოკუპირებულ რაიონებში.

აღნიშნა რა, რომ ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობა მზადაა გამართოს მოლაპარაკება, მაგრამ უშიშროების საბჭომ მეთვალყურეობით, ჰალარმა განაცხადა, რომ ფიქცია ლიმონნდება ჰოლანდიელების მიერ დაპირებული ინდონეზიაზე „სუვერენიტეტის გადაცემა" ინდონეზიელებისათვის. მან მოიყვანა ჰოლანდიის მთავრობის წარმომადგენლის გიბენის მიერ პრესასათვის გაკეთებული განცხადება, რომელმაც აღნიშნა, რომ ინდონეზიის პროვინციებისა და შეერთებული შტატებისათვის „სუვერენიტეტის გადაცემის შემდეგ" ჰოლანდიელთა ხელში განუსაზღვრელი დროით დარჩება ინდონეზიის ისეთი საქმეების, მართვა, როგორიცაა თავდაცვა, საგარეო ურთიერთობა და ფინანსები.

გეგმაეს რა ინდონეზიის საკითხზე „მრგვალი მაგიდის კონფერენციის" მოწვევის, ჰოლანდიის მთავრობა ამრიგად ამბრეს თავი აარიდოს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესრულებას, არ გათავისუფლოს რესპუბლიკის ტყვეები, არ გათავისუფლოს ჯარები ინდონეზიიდან, არ ალადგინოს რესპუბლიკა და თავიდან ითხოვოს რესპუბლიკასთან თანასწორი უფლებებით და უშიშროების საბჭოს მეთვალყურეობით მოლაპარაკების დაწყება.

ჰალარმა განაცხადა, რომ ჰოლანდიის ჯარები კონტროლს უწევენ მხოლოდ დიდ ქალაქებს ინდონეზიაში, ხოლო სოფლები ალყიანები სამხედრო და ადმინისტრაციული მხრივ რესპუბლიკის ხელისუფალთ ემორჩილებიან. რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წარმომტაბის მოწმობს მათ მიერ ქალაქ ჯოგიაკარტის დროებით დაკავება თებერვლის ბოლოს. ჰალარმა განაცხადა, რომ უშიშროების საბჭომ უნდა განიხილოს არა ჰოლანდიის გეგმები, არამედ ის ფაქტი, რომ ჰოლანდიის მთავრობა არ ასრულებს უშიშროების საბჭოს 28 იანვრის რეზოლუციას. დასასრულ მან თქვა, რომ რესპუბლიკის და ჯოგიაკარტაში მისი მთავრობის აღდგენის შემდეგ ეს მთავრობა შეძლებს განიხილოს საკითხი ჰაგაში პროვინციული „მრგვალი მაგიდის კონფერენციაში" მონაწილეობის შესახებ.

ფილიპინების წარმომადგენელმა რომულომ განაცხადა, რომ ჰოლანდიის მთავრობა არღვევს, გვერდი უვლის და უგულებელყოფს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს, მაგრამ მას არაავითარი წინადადება არ შეუტანია.

ამერიკის წარმომადგენელმა ოსტინმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა კვლავ ეშვრის მხარს უშიშროების საბჭოს 28 იანვრის რეზოლუციას, მაგრამ თავისი პოზიციის შემდგომი ჩაბოლოკვების დროს ოსტინმა არსებითად განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ეთანხმებიან ჰოლანდიის მთავრობის გეგმას.

ინდოეთის დეკუუგადთა კალეგამი

რომი, 12 მარტი. (საკდესი). მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დე გასპერიმ გუშინ პარლამენტს მთავრობის სხელი მოსთხოვა დაადასტუროს ვანინგტონში რეა ქვეყნის წარმომადგენლებთან „ხოლაპარაკება" ჩრდილო ატლანტიკის პაქტისადმი იტალიის „შეერთების". დე გასპერიმ განაცხადა, რომ მინისტრთა საბჭომ, „ერთხმად მიეჩინო ატლანტიკის პაქტისადმი შეერთებას".

დე გასპერიმ ქუბა-დიდეგი შეახსა ატლანტიკის პაქტს. — ამ სამხედრო ბლოკს და მოითხოვა, რომ ჰალარამ რაც შეიძლება მალე გამოიტანოს თავისი გადაწყვეტილება და, ამით შეაძლებლობა მოსცეს მთავრობას მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებაში ატლანტიკის პაქტის პირობებსა „საბოლოო ჩამოყალიბების" შესახებ. პრემიერ-მინისტრმა აღიარა, რომ იტალიას მთავრობას არა აქვს ამ პაქტის პროგრესის ტექსტი, მაგრამ იგი „იცნობს" ამ პაქტის შინაარსს.

დე გასპერის განცხადების შემდეგ სიტყვა აიღო ნენნიმ. მან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გამოსვლა შეიფასა როგორც „ფიგურალურ სიტყვა, არ გათავისუფლოს რესპუბლიკის ჯარები ინდონეზიიდან, არ ალადგინოს ინდონეზიის, არ ალადგინოს რესპუბლიკა და თავიდან ითხოვოს რესპუბლიკასთან თანასწორი უფლებებით და უშიშროების საბჭოს მეთვალყურეობით მოლაპარაკების დაწყება.

ჰალარმა განაცხადა, რომ ჰოლანდიის ჯარები კონტროლს უწევენ მხოლოდ დიდ ქალაქებს ინდონეზიაში, ხოლო სოფლები ალყიანები სამხედრო და ადმინისტრაციული მხრივ რესპუბლიკის ხელისუფალთ ემორჩილებიან. რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წარმატების მოწმობს მათ მიერ ქალაქ ჯოგიაკარტის დროებით დაკავება თებერვლის ბოლოს. ჰალარმა განაცხადა, რომ უშიშროების საბჭომ უნდა განიხილოს არა ჰოლანდიის გეგმები, არამედ ის ფაქტი, რომ ჰოლანდიის მთავრობა არ ასრულებს უშიშროების საბჭოს 28 იანვრის რეზოლუციას. დასასრულ მან თქვა, რომ რესპუბლიკის და ჯოგიაკარტაში მისი მთავრობის აღდგენის შემდეგ ეს მთავრობა შეძლებს განიხილოს საკითხი ჰაგაში პროვინციული „მრგვალი მაგიდის კონფერენციაში" მონაწილეობის შესახებ.

ფილიპინების წარმომადგენელმა რომულომ განაცხადა, რომ ჰოლანდიის მთავრობა არღვევს, გვერდი უვლის და უგულებელყოფს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს, მაგრამ მას არაავითარი წინადადება არ შეუტანია.

ამერიკის წარმომადგენელმა ოსტინმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა კვლავ ეშვრის მხარს უშიშროების საბჭოს 28 იანვრის რეზოლუციას, მაგრამ თავისი პოზიციის შემდგომი ჩაბოლოკვების დროს ოსტინმა არსებითად განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ეთანხმებიან ჰოლანდიის მთავრობის გეგმას.

ამერიკელი ხელისუფალნი აბრკოლებენ საბჭოთა ქონების დაბრუნებას

ბერლინი, 11 მარტი. (საკდესი). გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის მთავარმართველმა მარშალმა ვ. დ. სოკოლოვსკიმ ამ დღეებში ამერიკის სამხედრო გუბერნატორს გერმანიაში გენერალ კლეის გაუგზავნა წერილი, რომლითაც ყურადღება მიაქცია სრულიად შეუწყნარებელ მდგომარეობას, რაც გერმანიის ოკუპაციის ამერიკელი ზონიდან საბჭოთა ქონების რესტიტუციის საქმეში შეიქმნა.

თითქმის სამმა წელმა განვლო მას შემდეგ, — ნათქვამია წერილში, — რაც საოკუპაციო ხელისუფალნი შეუდგნენ შეთანხმებათა შესრულებას იმ ქონების რესტიტუციის შესახებ, რაც ანტიერეკლიანმა მათ მიერ დროებით ოკუპირებულ ოლქებიდან ვიოტნეს. ეს ვადა საკმესებთ საკმაოა იმისათვის, რომ მუშაობა ამერიკელი ზონიდან საბჭოთა ქონების რესტიტუციისათვის მნიშვნელოვნად მიაღწიოვნოდ დამთავრებულ. ფაქტიურად კი ეს მუშაობა სათანადოდ არც კი დაწყებულა. საკონტროლო საბჭოს ორგანოების მიერ რესტიტუციის შესახებ დამტკიცებული ანგარიშის თანახმად, 1948 წლის 1 თებერვლისათვის ამერიკელი ზონიდან ბიტეულოვნად თავდასხმით დაზარალებულ ყველა ქვეყანას დაუბრუნდა მხოლოდ 126.915.935 მარკის ქონება (ცარდა კულტურულ-მხატვრულ ფასეულობათა). ამასთან საბჭოთა კავშირს, რომელსაც ყველაზე მეტი ზარალი მოუვიდა, დაუბრუნდა მხოლოდ 201.570 მარკის წარმოებული საბჭოთა ქონება.

აღნშნულნი ანგარიშის შედეგის საბჭოთა ქონების რესტიტუციის საქმეში არსებითი გაუმჯობესებენ არ მომხდარა. „ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციის ანგარიშში, რომელიც 1948 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა, ნათქვამი იყო, რომ 1948 წლის 31 დეკემბრისათვის ამერიკელი ზონიდან ყველა ქვეყანას დაუბრუნდა 299.686.000 მარკის ქონება (ცარცთვე კულტურულ-მხატვრულ ფასეულობათა გარდა). ამასთან საბჭოთა კავშირის გადაეცა მხოლოდ 281.000 მარკის ქონება, ე. ი. მთელი თანმხ 0,09 პროცენტი.

მარშალ სოკოლოვსკის წერილში აღნშნულია აგრეთვე საბჭოთა კავშირის კეთილნი კულტურულ-მხატვრულ ფასეულობათა რესტიტუციის არანორმალური მდგომარეობა. რესტიტუციის დარგში მეშალი მეალი პირიოდის მანძილზე ამერიკელმა ხელისუფლებამ საბჭოთა კავშირს დაუბრუნეს მხოლოდ 20 ვაგონი სხვადასხვა არქეი, ნიგნები და სხვა საგნები.

„ფაქტები ცხადყოფენ, — აცხადეს სოკოლოვსკი, — რომ ოკუპაციის ამერიკელი ზონიდან საბჭოთა ქონების რესტიტუციის საქმეში ესოდენ არადამაკმაყოფილებელი შედეგის მიზეზია ამერიკელ ხელისუფალთა მისწრაფება — პრაქტიკულად ჩაშალონ პიტლერელთა მიერ ნაძარცვი საბჭოთა ქონების დაბრუნება".

ამერიკელი ხელისუფალნი არა თუ თვითონ არ იღებენ ზომებს საბჭოთა ქონების მოსაძებნად და იმ პირთა დასასჯელად, რომლებიც ამ ქონების მპლეველ, არამედ შეგნებულად უშლიან ხელს რესტიტუციის საკითხების საბჭოთა მხარეს აწარმოოს თავისი მუშაობა ამერიკელ ზონაში საბჭოთა ქონების აღმოსაჩენად. უფრო მეტიც, ამერიკელი ხელისუფალნი აწყვადასტვა საბჭოთა უარყოფენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ რესტიტუციის შესახებ უკვე წარდგენილ მოთხოვნათა უმეტესობას და ამ შემთხვევებშიც კი, როცა არსებობს გერმანელთა განცხადებანი, რომ მათთან არის საბჭოთა ქონება.

აუთქების მოწყობის ცდა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში

პარიზი, 12 მარტი. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან პარიზში კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში ფეთქებების ცდის შესახებ. ბიულეთენეულს დარბაზში, სადაც ენდა ყოფილიყო კომენსტერი პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ფლორიმონ ბონტეი, ბიულეთენის მოსამსახურეებმა აღმოაჩინეს დიდი ფეთქებელი ძალის ბომბი.

გაზეთ „ლუმანიტეს" ცნობით, „ალმოჩენილი ბომბი ამერიკული წარმოშობისაა". „ფეთქებენ რომ მომზადიყო,—გაანგარიშა გაზეთი,—ოთხ მრავალ მაგალითსა და სერიოზულ ზარალს გამოიწვევდა".

„ლუმანიტეს" დღეს იუწყება ამერეთვე პარიზში კომენსტერი პარტიის ორგანიზაციის შენობებზე ფანრეული ბანდების „თავდასხმის მრავალ შემთხვევაა. მაგალითად, 10 მარტს ღამით

ბულგარეთის მეცნიერ მუშაკთა კავშირი უერთდება მოწოდებას მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ

სოფია, 12 მარტი. (საკდესი). ბულგარეთის მეცნიერ მუშაკთა კავშირი, რომელიც გამოეხმაურა მშვიდობის დამცველ კულტურულ მოღვაწეთა კავშირის საერთაშორისო კონტიტუსა და ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მანიფესტს, აცხადებს, რომ სავსებით უჭერს მხარს მოწოდებას მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ.

ბულგარეთის მეცნიერ მუშაკთა კავშირის განცხადებაში ნათქვამია, რომ ბულგარეთის მეცნიერება მთელ ძალოვნეს მოახმარენ მშვიდობის ერთიანად მძლავრი ფრონტის შექმნის საქმეს ფაშისტებს, ომისგამაღვიძელთს წინააღმდეგ. კულტურისა და პროგრესის მტრებს წინააღმდეგ.

ეკონომიკური ბლოკადა საბჭოთა ქონების ინგლისში

ლონდონი, 12 მარტი. (საკდესი). ინგლისის ეროვნული ბანკის ბანკიერ ანგარიშებზე ინგლისში ბანკიერ ანგარიშებზე ინგლისში ბანკიერ ანგარიშებზე ინგლისში